


# ქრისტეს გზა

<p>იესო ქრისტეს გზა, მისი ღვაწლი ადამიანური შეგნების სფეროში, ისევე როგორც ადამიანობისა და დედამიწის ცვალებადობაში.</p> <p>დამოუკიდებელი საინფორმაციო გვერდი ახალი თვალსაზრისებით გამოცდილებებით და კვლევის სხვადასხვა სფეროებით. მოიცავს პრაქტიკულ რჩევებს პიროვნული განვითარებისათვის</p> <p>ამ გვერდზე (ქართულ ენაზე) თქვენ აღმოაჩენთ ლოცვასთან დაკავშირებულ გარკვეულ საბაზისო მითითებებს.</p>		<p><u>"რელიგია, დემოკრატია და მარქსიზმი"</u> <sup>1)</sup></p> <p>და <u>"იესო ქრისტე და ისლამი"</u> <sup>1)</sup>.</p> <p>ბევრ სხვა უცხო ენაზე <sup>2)</sup> შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი ვრცელი კომენტარები ევანგელიას და იოანეს ალექსის შესახებ. გარდა ამისა, გთავაზობთ დამატებით ინფორმაციებს ბევრი სხვა თემის შესახებ. <sup>3)</sup></p>
---	---	---

<p>1) მოკლე ინფორმაციები: <a href="#">türkçe</a></p> <p>2) დაწვრილებითი ინფორმაციები: <a href="#">ინგლისურ</a> და <a href="#">გერმანულ</a> ენებზე. ყოველთვის აქტუალიზირებული.</p> <p>გარდა ამისა: <b>Русский</b> , ...</p>
--



<http://www.ways-of-christ.com/ka>

**ლოცვა მშვიდობისათვის, სიცოცხლისათვის და დედამიწისთვის.**

ეს ლოცვა ამავე დროს განმარტავს ქრისტიანულ აზროვნებას, რომ ლოცვას ჰქონდეს გავლენა.

დემეტო, ჩემო საწყისო, ჩემო შველა და იმედო!  
 იესო ქრისტესთან გაერთიანებული გმადლობ ყველაფრისთვის, რაც შენგან არს.  
 მამატიე, ყველაფერი, რაც მე შენგან მაშორებს.  
 გთხოვ ამ ღუმილში მომანიჭო სალად აზროვნების უნარი.

წინ გამიძებს, რათა არ მოუტანო ზიანი სხვებს, შენი გზის მიმდევრებს.  
მიხელმძღვანელებს, რომ დავებმარო სხვებს, ისე როგორც შენ გასურს.  
დამიცავი ჩემ გზაზე .

გაუწათე გონება ადამიანებს, რომ შენ გადმოგაბარონ სიცოცხლისა და სიკვდილის  
არჩევანის საკითხები \*\*.

დაეხმარე შენიქმნილებისათვის მოღვაწეებს\*\*\*.

წინ გაუძებს ამ სამყაროს შენს მიერ აღთქმულ ახალ ღროებისკენ. \*\*\*\*

\*) ამ ადგილზე შეიძლება სხვა პირებიც მოიხსენიოთ

\*\*) ამ ადგილზე შეიძლება დეტალები ჩაურთოთ, ან ბოლოში მედიტაციურად განიხილოთ, როგორც „ძალადობისა და მისი რეაქციის განმაფრთხილებელი განმუხტვა“, „პრობლემების გადაჭრით ძალადობის წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრა“, „სამშვიდობო დიალოგის წარმოება სხვადასხვა რელიგიების საღად მოაზროვნეებს შორის“, ... ნახე მათ. 5:9 და 26:52.

\*\*\*) დატანჯული ბუნება ითხოვს შევლას. დროა ვთხოვოთ ღმერთს, ან ქრისტეს ვთხოვოთ, დაგვიცვას ბუნებრივი კატასტროფებისაგან. მაგრამ ეს არ არის სამაგიერო ადამიანური დამოკიდებულების აუცილებელი ცვლილებისა, ღვთიური ქმნილების მიმართ.

\*\*\*\*) ლუკა 11:2; 21:31. გამოცხადება 11:16; ... ნახე აგრეთვე მამაოჩვენო, მათე 6, 7-15. **ღმერთს შეუძლია მისადმი მიცემული სიყვარულის განაწილება.**

ლოცვა, ცხოვრება და მისი შესაბამისი მოქმედება ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, ისინი ერთმანეთზე არიან დაფუძნებული.

**3)** დაწვრილებითი ძირითადი ტექსტი სხვა ენებზე მოიცავს თავებს: 1 ნაწილი: შესავალი ამ ტექსტის შინაარსში და მის გამოყენებაში, მეთოდური მითითებებით, მედიტაციის მიმართ. მათ შორის: "დასაწყისში იყო სიტყვა" "და სიტყვა იქცა ხორცად..." ; იესო ნაზარეთელი: მისი დაბადება; სპეციალური გვერდით ხელახლა დააბადებასთან დაკავშირებით ქრისტიანული გაგებით; შეიცავს თუ არა მნიშვნელოვანს ქრისტეს სიყრმეობის წლები?; შენიშვნა შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: "ორი იესო - ყრმა" ; იორდანის ნათლობასთან დაკავშირებით; ნათლია იოანე; სპეციალური გვერდი: შენიშვნები ამჟამინდელ ნათლობასთან დაკავშირებით; ღუმილი უდაბნოში; ცდუნებანი; ქორწილი ქანაში; (ქრისტიანული თვალსაზრისი სექსუალურობასთან კავშირში, სიმპატია, თანაგრძნობა და სიყვარული): "წმინდა გულმოდგინება" (და თვალსაზრისი ემოციებთან დაკავშირებით); ქადაგება მთაზე (მისი გაგების თვალსაზრისი); ქრისტეს განწმენდა ტაბორის მთაზე; საკითხი "სასწაულებთან" დაკავშირებით; ლაზარეს გამოღვიძება; "ცხვრები" ; ქრისტე და ფეხის განბანა; და მალამოს დადება ბეთანიაში (მნიშვნელოვანი თვალსაზრისი ქრისტიანული სულიერებისა); ვახშამი, დაბატონება და დასჯა; ეკლის გვირგვინის დადგმა და გამოსათხოვარი სიტყვა; ჯვარცმა და სამარეში ჩასვენება, მითითებებით ქრისტიანული მისტიკიდან; ცარიელი სამარის საკითხი, "ჯვოჯონებში ასვლა" , "სამოთხეში ასვლა"; აღდგომა; ცაში ასვლა; აღზევება; დაბნელება; იესოს სურათი. 2-ე ნაწილი: იოანეს გამოცხადება: წინასწარმეტყველობების განხილვა: იოანეს აპოკალიპსის შინაარსი: შვიდი ეკლესია – სპეციალური გვერდით დღევანდელი ეკლესიების შესახებ, აგრეთვე თეოლოგიური მიმართულებების შესახებ. შვიდი ბუქედი; სვიდი პოზაუნა; შვიდი ჭეჭა-ქუხილი, და ორი წინასწარმეტყველი; ქალი და ურჩხული; შვიდთავა ცხოველი ზღვიდან, ათრქიანი ცხოველი მიწიდან: "შვიდი საბოლოო გასაჭირი და ბაბილონის დასასრული"; (ჭეშმარიტი) 1000 წლიანი სამშვიდობო სამეფო ; ახალი ზეცა, ახალი მიწა, და "ახალი იერუსალიმი" : ბოლო თავი: ქრისტიანული; მაგია: ქრისტიანული თავდაჭერა – "ამ სამყაროში, მხოლოდ არა ამქვეყნიური", მესამე გზა, მითითება წარმოსახვის ხარისხზე, ბუქედვითი ნიმუში და უფლებები; ელ-ფოსტის ანკეტა. 3-4-ე ნაწილი: სხვა მრავალი თემა: ძველი აღთქმა, ებრაელობა და იესო ქრისტე; ეთიკური ფასეულობების საფუძვლები; სარათუსტრა; იესო ქრისტე და ისლამი; იესო ქრისტე და ბუდიზმი; ინდუიზმი; ტაოიზმი; შინტოიზმი; მოკლე შესწორებები

თანამედროვე „იესოს – შესახებ – მხოლოდ – სიმართლის – ისტორიების – ირგვლივ“ : ღვთის რწმენა და ჰუმანიტარული მეცნიერება; იესო და კვების საკითხები; იესო ქრისტე და მკურნალობა – აგრეთვე დღევანდელ დღეს; ლოცვა მშვიდობისათვის, სიკაცხლისთვის და დედამიწისთვის; ქრისტიანული თვალსაზრისი ეკონომიკის და სოციალური სფეროს საკითხებთან კავშირში; ქრისტიანული თვალსაზრისი საზოგადოებრიობისთვის და პოლიტიკისთვის; ფილოსოფია და ქრისტიანობა – კომენტარი ჰაბერმას სიტყვასთან დაკავშირებით „რწმენა და ცოდნა“ ინსპირაცია და ეკლესიები;...

გამრავლების უფლება: თქვენ უფლება გაქვთ ჩვენი გვერდების შეუცვლელად ამობეჭდვის და დაინტერესებულ პიროვნებებზე გადაცემის.

ელ-ფოსტა: (თუ შეიძლება ინგლისურად ან გერმანულად)

# რელიგია 1) როგორც ადამიანების ღმერთთან "უკუდამაკავშირებელი" ცხოვრების გზებზე იესო ქრისტესთან ერთად

1) სიტყვა რელიგია წარმოშობილია ლათინური სიტყვა რე-ლიგიო-და და ნიშნავს შეერთებას; ღმერთთან, რომელიც თავის სახეს აგრეთვე ჩვენშიც ღებულობს. მიახლოებით შესაძლებელია ჰალოგრამასთან შედარება, სადაც მსგავსი ცვლილებები ხდება სიდიდეებში.

## ადამიანების ცხოვრებაში ღრმა პრობლემების შექცნება

ადამიანთა ცხოვრებაში ლოცვით როგორ განკურნვანას უნდა ნიშნავდეს იესოს კითხვა: " გინდა ჯანმრთელი გახდე? " ( იოანე 5,6) ან " იცი რა ნაკლოვანებები გაქვს კიდევ, რათა შეიცვალო, თუ ღმერთისკენ სავალ გზაზე გინდა იარო? ". ერთი შეხედვით საოცარ იოლ, იშვიათად რელიგიურად დანახულ ფაქტობრივ მასალებში შესაძლებელია დამაკავშირებელი ე.წ. " წითელი ძაფის " მოძიება. ბავშვი ზრდის პროცესში ახალ უნარ-ჩვევებს იძენს, მაგარამ ამასთანავე უფრო ადრე შეძენილი უნარ-ჩვევები მივიწყებული ხდება. მოგვიანებით ადამიანს შეუძლია ეცადოს, მოგონებებისა და ლოცვის დახმარებით ეს ბუნებრივი, მივიწყებული ჩვევები კვლავ ხელახლა აღიდგინოს. მიუხედავად ცვლილებებისა, მყარად გამჯდარი უნარ-ჩვევებიც შენარჩუნდება; არსების განმტკიცების პროცესში ეს თვისებები კვლავ მოდუნდებიან ან ერთმანეთს შეერწყმებიან. ამ ერთმანეთისგან განსხვავებული გზითაა შესაძლებელი სულიერი თუ გარეგნული მიზეზებით გამოწვეული გაორება ადამიანებში კვლავ ერთ მთლიანობაში იქნას მოყვანილი. სამოთხის მითოსში აღწერილი ხის ნაყოფის "შექცნება " სწორედ ამ გაორებაზე მიგვითითებს; გამონათქვამი: " თუ თქვენ არ მობრუნდებით და ბავშვებზე იქცევით, მაშინ ცის სამფლობელოში ვერ მოხვდებით ", რომელსაც ვხვდებით ევანგელიებში მათესთან 18,1-3; მარკუსთან 10,15; და ლუკასთან 18, 17 სწორედ ამ გარდაქმნაზე მეტყველებს. აქ ლაპარაკია არა მარტო ბავშვურ შეუზღუდაობაზე, არამედ განვითარების წინასაფუძვლებზე, რომლებიც

სწორედ "არქიტექტურა 2) ე.ი. წარმოადგენს წინასწარ შემუშავებულ ძირითად გეგმას, ე.წ. ადამიანების "სახელმძღვანელო გეგმას", რომლის ნაწილიც დაკარგულია. ამ გზას შეუძლია დღევანდელ შეზღუდულ გონებრივ შეგნებაზე უფრო შორს გაყვანა.

2) აქედან გამომდინარე, ნეგატიური ("სატანური") ჩვევების დაძლევა აღნიშნულ "გაორების" განკურნებას ითვალისწინებს.

"არქიტექტურა" არის იუნგის ღრმა ფსიქოლოგიის ტერმინი, როგორც ადამიანების ექსისტენციალიზმის ძირითადი გეგმის შეგნების სხვადასხვა ფორმები.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს მარტო თავისი ძალით, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია ამის მიღწევა. იესო რეალურ გზას, ძალასა და მოწყალებას გეთავაზობს, რისი დახმარებითაც შესაძლებელია ამ საკითხის გადაჭრა. ქრისტიანული სიმართლის მაძიებელნი, მისტიკოსები და ალქიმიკოსები ამ სრულყოფის გზას ნათლად დაადგინეს (შეადარე მაგ. მათე 5,48; იოანე 10,34;...). აგრეთვე მრავალმა სხვა ქრისტიანმა შეგნებულად თუ შეუგნებლად ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება დააგროვა. ამ ღრმს მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ როგორი გზით მიაღწიეს მათ ამას; უფრო მეტად მიჰყვებოდნენ შინაგან გზას, თუ თავიანთ რწმენას, თუ, როგორც ჩვენ ამას "სრულყოფილ ქრისტიანობას" ვუწოდებთ, ორივე გზას ერთმანეთს უერთებდნენ. ათასწლეულების მანძილზე სხვადასხვა კულტურებში იძებნებოდა ადამიანების შინაგანი გაყოფის დაძლევის გზა; ტაოელი ალქიმიკოსების მცდელობები, სხვადასხვა იოგის სახეობებიც და ა.შ. ამ საკითხს ეხება 3).

3) ინდური წარმოშობის სიტყვა იოგაც - "ანჯაცჰენ" - ნიშნავს ყველა ნივთის საკუთარ საწყისთან, მუდმივობასთან დაკავშირებას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სხვანაირ გზებსაც იგივე მიზნისკენ მივყავართ როგორც ქრისტიანულს.

"ადამიანი ღმერთი" ან ღმერთის მიერ გამოგზავნილი ადამიანი იესო ქრისტე "ახალი ადამი" - გვაძლევს იმის სიგნალს, რომ ადამიანებსაც ძალუბთ გაბნეული, ადრინდელი თვისებები აღიდგინონ და რომ ღრმად, უკვე საშიში არეულობა ისევ წესრიგში იქნას მოყვანილი. კაცობრიობის "საკეთილდღეოდ" მან შეძლო ცხოვრების აზრის საწყისი წყაროს "ღმერთისა და დიდად განვითარებული ადამიანების შეგნების თავის თავში გაერთიანება. მან შეძლო დეგენერაციის ძალების აძლევა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვა ადამიანებისაგან განსხვავდებოდა, იგი მაინც ადამიანი იყო, რომელმაც ამის მოხერხება შეძლო. აქედან გამომდინარე, ადამიანებს შეუძლიათ ამ გზის მიბაძვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი ამას შეგნებულად გააკეთებენ. მათთვისაც კი, ვინც ისტორიული იესოს შესახებ არაფერი იცის, მაინც შედეგადაა იესოს ცხოვრება მისი აღდგომის ჩათვლით. ეს ფაქტი შეძლევი მაგალითიდანაც ჩანს: თუ ცხოველები ერთ-ერთ კუნძულზე რაიმე ახალს ისწალიან, იგივე სახეობის ცხოველები მოშორებული კუნძულებიდან ძალიან ჩქარა ითვისებენ იგივე თვისებებს, რადგან მათ საერთო წარმოშობა აქვთ, როგორც ეს მაგ. რ. შელდრაკემ შენიშნა.

ქრისტესთან და ღმერთთან ადამიანების დაკავშირება ეკლესიის ჩაურევლადაცაა შესაძლებელი; თუმცა სათანადო ქრისტიანულ ჯგუფებთან კავშირი დახმარებად ითვლება. ერთმანეთის საწინააღმდეგო თეოლოგიები, რომლებიც ქრისტეს არსების ერთიანობას სულიერ დახმარებად

და სოციალურ რეფორმად ყოფენ, საბოლოო სიბრძნეს არ წარმოადგენს. ამასთანავე ზოგიერთ მათგანს მცირედი დახმარების გაწევა მაინც შეუძლიათ. განსაკუთრებით მაშინ, თუ ადამიანი სხვადასხვა თეოლოგიებს იცნობს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია როგორც " განმარტოებულ, წყნარ ოთახში ", ასევე ხალხით სავსე მოედანზე პირდაპირ ქრისტესთან კავშირზე განეწყოს. ერთის მხრივ ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ მან მოიგონოს ქრისტეს თვისებები, რომლებიც მან გადმოცემებიდან ( ევანგელიებიდან ) იცის და მეორეს მხრივ კი, იმ ადამიანისთვის, რომელიც მზადაა იმისთვის, რომ ქრისტე მისი სიკვდილის შემდეგ მაინც არსებულად აღიქვას, განეწყოს მის მიმართ როგორც ამჟამად არსებულსა და მოქმედზე. ეს შეგვძნელებს შესაძლებელია მაშინ, როცა " მისი სახელით " ან მასთან " როგორც დიდ ძმასთან " ერთად ლოცვით მამა-ღმერთს მიმართავს ადამიანი. ( შეადარე იოანე 15,16; მათე 6, 7-15; მათე 18,19-20). მაგ.:

ღმერთო, ჩემო საწყისო, ჩემო შევლავ და იმედო!  
იესო ქრისტესთან გაერთიანებული გმადლობ ყველაფერისთვის, რაც შენგან არს;  
მაპატიე, ყველაფერი, რაც მე შენგან მაშორებს ;  
გთხოვ ამ ღუმელში დამაუფლე შენს სულს , ამიყვანე შენს გზაზე.

\* ) შესაძლებელია მარიამის ჩასმა. იმისთვის, ვისთვისაც ეს უფრო ახლობელია. ამნაირად ადამიანების მამაკაცური და ქალური თვისებებიც წამოიწევა.

\* \*) შემდეგ შესაძლებელია ყველა უარყოფითად აღქმული მოქმედება: 1. შინაგანად იქნას გააზრებული ( მაგ. შიში, ბოროტება, უგულისყურობა და ამპარტავნობა, გადაჭარბებული ეჭვიანობა, პრობლემა ან ყველაფერი, რაც მხოლოდ სიტყვებში ან გონებაში წარმოისახა; შეადარე მგ.: მათე 5,22). 2. იმის მაგივრად, რომ გაბრაზდე, უკეთესია ცოტა ხნით დაწყნარდე, რათა კარგად გაიაზრო, თუ რას ენება საქმე. შემდეგ 3. ეს თითქმის ორგანულად შეგვძნელებს ტვირთი ლოცვებში ღმერთს მიანდო ( ამასთანავე შესაძლებელია მთელი მომავალი ცხოვრება ღმერთს ან ქრისტეს მიანდო). 4. მოთმინებით დაელოდო, სანამ შემსუბუქებას არ შეიგვძნელებს ან სანამ ქვეცნობიერებაში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით "პასუხი " არ გაგვიჩნდება.

\* \* \*) სიწყნარეში ყოველდღიური განცდები და მოქმედებები დალაგდება და ამნაირად გადაიშვება ან ლოცვებში უფრო უკეთ აღიქმება. შემდეგ კი უფრო მეტი ადგილი გაჩნდება ახლისთვის.

### ამ გზაზე ეთიკის მნიშვნელობა

ამ გზის ერთ-ერთი საფეხურია " ღმერთის სიყვარული ", რომელიც ყველაფერზე მაღალა დგას და აგრეთვე " გვერდითმყოფის ისეთივე სიყვარული, როგორც საკუთარი თავის " (მათე 19,19); ე.ი. საჭიროა საკუთარი თავის სიყვარულიც. საკუთარი თავის სიყვარული შესაძლოა დასახული მიზნის ერთ-ერთ ნაწილად იქნას აღქმული, კერძოდ მაგ. ცხოვრებაში საკუთარი მოვალეობის გარკვევა. სიყვარულს შეუძლია ქრისტესთან შეერთება, რადგან სიყვარული ქრისტეს მთავარი

თვისებაა, რომელიც სიბრძნესთანაა დაკავშირებული. ქრისტეს გაგებით, ხშირად სიკეთისკენ გზა ჰუენს ნათელს ქრისტიანული გზის შინაგან და გარეგან შედეგებს. იესომ ეთიკის საფუძვლების შენარჩუნება შეძლო, რადგან ადამიანი "იმას იმკის, რასაც თესავს" (6,7); იმის მაგივრად, რომ გარეგნული კანონისთვის დაეთმო ყურადღება, მან პასუხისმგებლობა თითოეულში უფრო გააძლიერა. ამასთან ერთად შესაძლებელია იმის განცდაც, რომ ადამიანების სიღრმეში რაღაც, შეიძლება ოდნავ შესაგრძობიც კი არსებობს, რაც მათ ქრისტესთან აერთიანებს. აქედან შინაგანი "ახალი დაბადება" შესაძლებელი (იოანე 3.). ეს ნიშნავს, რომ წლების განმავლობაში ადამიანი სულთან უფრო ახლოს მიდის, ისე როგორც ეს ქრისტემ განიცადა. ეს დაახლოება შესაძლებელია გულში ან სულში იქნას განცდილი. ამ განცდის სახეობები ინდივიდუალურია. მიუხედავად იმისა, თუ რა სიძლიერით შეიგრძნობა ქრისტესთან დაკავშირებული ძალა თითოეულში, მანაც საჭიროა შეძლებისდაგვარად და გარკვეული სინშირით საკუთარ თავში ჩაღრმავება და როგორც ეს უკვე ინდივიდუალურადაცაა ცნობილი, ამის შეშვეობით მცდელობა იმისა, რომ ჰირდაპირი კონტაქტი იქნას დამყარებული. მიუხედავად იმისა, რომ დიდი შედეგები თავიდან ნათლად საგრძნობი შეიძლება არ იყოს.

იმ ძალის შეშვეობით, რომელიც ადამიანების სულში მოწყალების სახით წარმოიქმნება, შესაძლებელია ქრისტესთან აგრეთვე ღმერთთან დამახლოვებელ უნივერსალურ განმკურნებელ ძალასთან შეერთება. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ამის შეგრძნებაც საოცრად განსხვავებული იყოს, მაგრამ ეს შეგრძნებები ამ შემთხვევაში უფრო ნათელი იქნება და გარკვეულ გავლენას იქონიებს გარემოცვაზე. თუ აქამდე ამდაგვარი შეგრძნების გამცდელნი მხოლოდ მცირე რაოდენობით არსებობდნენ და "მისტიკოსებად", "წმინდანებად" და ა.შ. ითვლებოდნენ, ჩვენს "ახოკალიასურ" დროში ამდაგვარი მოვლენები უბრალო ადამიანებზეც შესაძლებელია გავრცელდეს. შესაძლებელია, რომ ამ ფაქტის მნიშვნელობა მაშინვე არ იქნეს გააზრებული. ამიტომ აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგაც: ეს უნივერსალური "გარედან მომდინარე" გავლენა ან მიღებული იქნება, ან ზოგ შემთხვევაში მტკივნეულად აისახება მათში, რომელთა სულის სიღრმეშიც არანაირი მსგავსი გრძნობა არ არსებობს. ამ შემთხვევაში ეს გავლენა ე.წ. "განსასჯელად" შეიგრძნობა.

წინ გამიძეხ, რათა ზიანი არ მოუტანო სხვებს, შენი გზის მიმდევრებს;  
მიხელმძღვანელო, რომ დავეხმარო სხვებს, ისე როგორც შენ გსურს;  
შენი სიყვარულით დამიცავი ჩემ გზაზე .

\*) აქ შესაძლოა სხვების ჩართვაც

## მსგავსი განვითარება სიღრმეებში, რომელიც ძველი დროიდან დაწყებული შეიმჩნეოდა სხვადასხვა კულტურებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვობის პერიოდიდან ზრდასრულობამდე ადამიანს განვითარების სხვადასხვა საფეხურები აქვს გასაველელი. სხვადასხვა ადამიანთა კულტურებმაც

მსგავსი თვითშეგნების საფუძვლები განვლეს. ამის მეშვეობით ერთის მხრივ შეიძინება ახალი უნარ-ჩვევები (უფრო თავისუფალი ნება, შეგრძნება და აზროვნება) და მეორეს მხრივ კი, მცირდება ნდობის გრძნობა მთლიან სამყაროსთან. ამის შედეგად გროვდება პრობლემები. (მაგალითისთვის შეადარეთ ჟან გებზერის "წარმოშობა და აწმყო"; ერთმანეთის მონაცვლეობით არქაული, მაგიური და მითური გონებრივი ქვეცნობიერება; აქედან გამომდინარე შესაძლებელია უფრო ძლიერ ინტეგრირებული შეგნების განვითარება, რომელსაც მაგ. აზრობრივი ქვეცნობიერება შეიძლება ეწოდოს.) ამ დროს აგრეთვე გავლენა იქონიეს ძლიერ გამოკვეთილმა იდეალებმა და ამ განვითარების საფუძვლამ ასახვა სიდიდეებშიც ჰპოვეს (კულტურული თვალსაზრისით მაინც). ეს განვითარება სიჯიუტის, მაგრამ როგორ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი დანაკლისის მეშვეობით განხორციელდა. ახალ დროში უკვე ნათლად ჩანს, რომ კაცობრიობა ბედის მსგავსი გამოწვევის წინაშე დგას. თუ ადამიანებს გადაარჩენა სურთ, მაშინ მათ პატარა და დიდი "კუანტური ნახტომების" ან ევოლუციური ნაბიჯების განხორციელება უნდა შეძლონ 4). ეს ნაბიჯები თითქმის 2000 წელია არსებობს. ეს პროცესი ახლა არ ხორციელდება აზრობრივი ქვეცნობიერების, როგორც შექმნილი უნარ-ჩვევის მეშვეობით. თუ ერთეულები შეძლებენ აზრობრივი ქვეცნობიერების განვითარებას და საკუთარ თავს ხელახლა ღვთიურ წარმოშობას დაუკავშირებენ 1), მაშინ აპოკალიპსური კატასტროფების დაძლევა "ზემოთ" აღნიშნულის მეშვეობით იქნება შესაძლებელი. ამავე დროს საჭიროა კავშირის ქონა აქტიურ მოძრაობებთან, როგორც მაგ. სამშვიდობა მოძრაობა და ა.შ. ყველა კეთილის მოსურნეს თავისი "საჭირო" ადგილი აქვს ამ ე.წ. "თამაშში". ყველა ადამიანი ნათლად იღრწვის ამისკენ. ისინი მიემართებიან მომავლისაკენ და ეხმარებიან ერთმანეთს წარსულის გადაძლევაში. შესაძლებელია ამ ფაქტის შემდეგ კითხვასთან შედარება: "ქათამი უფრო ადრე წარმოიშვა თუ კვერცხი?" ე.ი. მიზანი არის "გარეგნული" გადაარჩენა, თუ ადამიანების ექსისტენციალური შეგნებისა და არსებობის განვითარება? აქამდე არსებული შეფასების სკალა სასწრაფოდ ტრანსფორმირებული უნდა იქნას, რადგან ადამიანს ზუსტად შეუძლია წარმოდგენა იმისა, თუ საით შეუძლია წაყვანა აქამდე არსებულ მოძველებულ პროგრამას. ყველა კარგი საქმე ერთი მთლიანის ნაწილია, ისვე როგორც ყველაფერი მთლიანობის ნაწილს წარმოადგენს.

4) ჰესიმისტური ხედვა ჰერბერტ გრულის ბოლო წიგნიში "ამაღლება არაფრისკენ" (გერმ. ენაზე) მიღებული არ შეიძლება იქნას, რადგან განვითარებისა და ენერჯის ის წყარო, რომელიც მან ვერ შენიშნა, მის წიგნიში მაინც შეიგრძნობა, კერძოდ ღმერთი.

გაუნათე გონება ადამიანებს, რომ შენ გადმოგაბარონ სიცოცხლისა და სიკვდილის არჩევანის საკითხები ;  
 დაეხმარე შენი ქმნილებისათვის მოღვაწეებს;  
 წინ გაუბიძგე ამ სამყაროს შენს მიერ აღთქმულ ახალ დროისაკენ. .

\*) აქ შესაძლებელია ცალკეული საკითხების დართვა, ან საბოლოოდ მედიტაციური ხედვით დაძლევა. მაგ. დასრულდეს ბრძოლა ძალადობასა და აწმყოს შორის; პრობლემის გადაწყვეტით ძალადობის თავიდან აცილება; რელიგიის კეთილმოსურნეებთან მშვიდობიანი დიალოგის წარმართვა.

\*\*\*) ლუკას ეევანგელიიდან 11:2; 21:31. გამოცხადება 11:16. ღმერთს შეუძლია იმ სიყვარულის

დანაწილება, რასაც მისთვის გაიღებენ.

ეს არის "მობრუნება" ღმერთისკენ

იოანე 16, 12-13: მე კიდევ ბევრი რამ მინდა გითხრათ, მაგრამ ახლა უკვე მეტისმეტი იქნება. როდესაც სული სიმაღლეს დაუახლოვდება, მაშინ იგი ყველა სიმაღლისკენ გვიხელმძღვანელებს. რადგან იგი არა მარტო საკუთარი თავიდან გამომდინარე ილაპარაკებს, არამედ ის იტყვის იმას, რისი გაგონებაც სურს. იმასაც განგიცხადებთ, რაც მომავალში იქნება.

## ინფორმაციები იესოს და ისლამის შესახებ.

### ინტერრელიგიური დიალოგი

ამ სტატიას შეაქვს წვლილი რელიგიებს შორის უკეთესი ურთიერთგაგების დამყარებასა და მშვიდობიანი „ინტერრელიგიური დიალოგის“ ჩამოყალიბებაში, რომელიც უკვე წლების განმავლობაში მიმდინარეობს. ჩვენი მინიშნებები მიზნად არ ისახავს მთლიანად ისლამის დახასიათებას, რამდენადაც თვით ყურანშიც სხვადასხვა თეოლოგიური მიმართულებები და სკოლები არსებობს.

### ყურანი)\* და სხვა დამწერლობითი რელიგიები.

ისლამი ნიშნავს „ღვთის ნებისადმი დამორჩილებას“.

ისლამის წმინდა წიგნი, ყურანი, განიმარტება როგორც ღვთიური შთაგონების წყარო, რომელიც მოციქულ მოჰამედს ღმერთისგან, ან ანგელოზი გიბრილისგან გადაეცა, რომლის იდენტიფიცირება შესაძლოა ქრისტიანულ სარწმუნოებაში ცნობილ ანგელოზ – გაბრიელთან. ნათელია, რომ ყურანი ცენტრალური მნიშვნელობის მომცველია. ამის გარდა ისლამის გაგებაში გარკვეულ როლს თამაშობს აგრეთვე სხვა ტრადიცია (სუნა; სიტყვიერი თარგმანი: „ჩვევა“), რომელიც გადმოცემული იქნა მოციქულ ჰადიტის დროიდან. თვით მოციქულიც თავისი საქციელით აღამინია და არა ღმერთი! გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც ქრისტიანებს, ასევე მუსულმანებს შორისაც, არიან ისეთნიც, რომლებმაც წმინდა წიგნის არსი ზუსტად არ იციან.

ქრისტიანები, ან კიდევ ებრაელები ყურანში ნაწილობრივ პირდაპირ მოიხსენებიან როგორც „თქვენ, დამწერლობის ხალხნო, (წიგნის ხალხი, მაგ. სურე 4,171 \* ) და როგორც „თქვენ, შვილებო ისრაელისა“. ასე რომ, მათაც შეუძლიათ ყურანით\*) სარგებლობა, თუმცა ხშირად

ისინი ამას არ აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, რელიგიური მეცნიერება იკვლევს ყველანაირი რელიგიის წმინდა წერილებს და ამასთანავე იკვლევს მათი შექმნის ისტორიულ განვითარებას. წმინდა წერილები მაინც დიდი მოწიწებითა და მოკრძალებით უნდა იქნას შესწავლილი. მუსულმანური ყურანის განმხილველთა ერთი ნაწილის აზრით, ყურანში არსებობს ერთ-ერთი უძველესი ფორმა, ე.წ. ღმერთთან შენახული ფორმა, რომელიც მხოლოდ წმინდა ანგელოზთა და წმინდა მოციქულთათვისაა მისაწვდომი, ხოლო მეორე ნაწილის ინტერპრეტაციით კი, დედამიწაზე არსებული ყურანი მკითხველისათვის წმინდა სახითაა შენახული.

მოციქული ითვლება გარკვეული „პერიოდის“ (ან გარდამავალი პერიოდის) გზავნილად; იმ პერიოდისათვის, რომელშიც გზავნილები არ ჩანან (იხ. სურე 5,19 \*). ყურანი განასხვავებს მორწმუნეებს მოციქული მოჰამედის სწავლების მიხედვით, „წიგნის ხალხად“ (დამწერლობის ხალხი) და „ურწმუნოებად“. „წიგნის ხალხში“ იგულისხმება განსაკუთრებით ებრაელები და ქრისტიანები, რომლებიც მუსულმანებთან ერთად იგივე ტრადიციებს ეყრდნობიან; ზოგჯერ აგრეთვე ცარატუსტრელები (იხ.სურე 22,17\*). თვით ყურანიც ცნობს „მოციქულთა“ წრეს, რომელიც თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში მსგავს სწავლებას ერთი ღმერთის, იმქვეყნიური სასამართლოსა და საკუთარი ხალხისთვის ლოცვის შესახებ ქადაგებდა, (მაგ. სურე 6, 83-92; სურე 7; სურე 4, 136\*). იმ შემთხვევაში, როცა სხვადასხვა რელიგიების მქონე ადამიანებს ამ საერთო საფუძვლის სჯერათ, მათ თავად ყურანში არ მოიხსენიებენ ურწმუნოებად. (სურე 5, 48\* და სხვა). ისლამის გავრცელების პირველ ასწლეულში ქრისტიანებსა და ებრაელებს ძალას არ ატანდნენ, გადასულიყვნენ ისლამის რწმენაზე (ყურანის სწავლების შესაბამისად, "რელიგიაში არ არსებობს ძალდატანება", იხ. სურე 2,256\* ).

აბრაჰამი ითვლება ერთ-ერთ იმ "ჰანიფად", რომელთაც, როგორც ცალკეულმა პირებმა, პირდაპირი გზა ჰპოვეს იმ ნამდვილი რწმენისკენ, რომელიც ღმერთთან აახლოვებს. სიტყვა ალაჰს – წინა ისლამურად, ძველ არაბულად ალ-ილაჰს-, როგორც სემიტურ სიტყვას ნამდვილად იგივე ძირი აქვს, როგორც სიტყვა „ელოჰიმს“-ღმერთის სახელი მოსეს ებრაული წიგნებიდან.

"ურწმუნოებად" – მიახლოებითი სიტყვიერი თარგმანი "შემოსილნი"- მოციქული მოჰამედის ქადაგების პერიოდში პირველ რიგში ითვლებოდნენ პოლითეისტები, ან კერძოთაყვანისმცემლები, რომელთა წინააღმდეგაც იგი არაბეთში იბრძოდა და რომელთა შესახებაც გვაფრთხილებდა აგრეთვე ებრაელებისა და ქრისტიანების ბიბლია; დღესდღეობით კი უფრო ფართო გაგებით ისლამში ურწმუნოებად ითვლებიან ისინი, ვისაც ერთი ღმერთისა და იმქვეყნიური სასამართლოსი არ სჯერათ. დღეს ეს მცნება ხანდახან მცდარად გამოიყენება ყველა არამუსულმანზე და ხანდახან კი აგრეთვე იმ მუსულმანებზეც, რომელნიც სხვა მუსულმანურ მიმართულებას მიეკუთვნებიან.

### იესო ქრისტე ყურანში

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ თვით ყურანშიც, იესო რამდენჯერმე მოიხსენიება როგორც ღმერთის მიერ გზავნილად და როგორც "სიტყვა" ღვთისა (ეს მცნება უფრო დეტალურად არ არის ახსნილი) და აღიარებულია, როგორც "სული" ღვთისა (სურე 4, 171),

წარმოშობილი „ადამის მსგავსად“ (სურე 2, 3, 5,...). ანუ, თუ კი ისლამს სწორედ გავიგებთ, მასში იესოს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე თვით თანამედროვე ქრისტიანულ თეოლოგიებში, რომლებიც მას წარმოსახვენ როგორც სოციალურეფორმატორს. ერთადერთი ის მცნება, რომ შემდგომში ქრისტე სამებასთან კავშირში ღვთის შვილად იქნა აღიარებული, არ იქნა ყურანში დაშვებული. ეს საკითხი თვით მოჰამედის დროინდელი ქრისტიანების მიერ საკმაოდ ამქვეყნიურად განიმარტებოდა. აღარ არსებობდნენ ქრისტიანები, რომელთაც შეეძლებოდათ ძირფესვიანად განემარტათ, ის, რაც ამ მცნებით აღრე იყო მიჩნეული, განემარტათ ისე, რომ სხვა მოსაზრების მქონე ადამიანებს შეეძლებოდათ ამის გაგება (მაგ. სურე 6,101 \* ). რომაელების წერილში 1.4 წერია, რომ იესო თავისი ძლიერებით "ბრწყინვალეების სულად", როგორც "შვილად ღვთისა" იქნა შეფასებული და არა დაბადებული.

მუსულმანურ აზროვნებას იმის შესახებ, რომ ღმერთი არ არის დაბადებული და იესოც კი არ დაიბადა, არამედ შექმნილი იქნა, შეიძლება ითქვას, რომ პრინციპში ქრისტიანებზე ეთანხმებთან. არის კიდევ ერთი მცნება (ბერძნულ ენაზე) „ლოგოს“, – რომელიც ბიბლიაში სწორედ რომ იესო ქრისტეს ღვთიურ შთამომავლობას ან იესო ქრისტეს გზავნილობას ნიშნავს. ეს მცნება ევანგელურ ნაწერებში ნათარგმნია როგორც „სიტყვა“ (იხ. ზემოთ), რომელიც ყურანში იესოსთან მიმართებაში მოიხსენიება. ნუთუ ყურანის შთავონებებში, ისევე, როგორც ბიბლიურ შთავონებებში დამალულია საიდუმლოებანი, რომელნიც ჯერჯერობით კიდევ აღმოუჩენელია და ქრისტიანებს და მუსულმანებს შორის გაუგებრობას აქვს ადგილი ზოგიერთი მცნების განმარტების გამო? იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქრისტიანები ამ რელიგიურ სწავლებას ისე წარმოადგენენ, რომ ის შეიძლება „მრავალღმერთიან სწავლებად“ იქნას გაგებული, ეს მაინც არ შეესაბამება იმ მეთოდს, რომლითაც იესო თვითონ ქადაგებდა და განმარტავდა რელიგიურ სწავლებას. „ილოცეთ ჩემი სახელით (ესე იგი, შინაგანად იესოსთან კავშირში) მამის (ღმერთის) წინაშე“ – ბიბლია, იოანეს ევანგელია 15:16. იესოს ცხოვრებაში ყველაფერი მიმართულია ერთი ღმერთის კენ, რომელთანაც იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული და რომლისკენაც მას ადამიანების დააკავშირება შეეძლო.

მცნება „ლოგოსი“ (ბერძნულად, იოანეს I ევანგელიაში, როგორც „ღმერთის სიტყვა“, რომელიც იქ ქრისტესთან კავშირში მოიხსენიება), პარტის მიერ გადმოცემულ ყურანში (გერმანულ ენაზე) იესოსგან დამოუკიდებლად არის მოხსენიებული, მაგრამ ყურანის სხვა გამომცემლობებში იგი გაგებულია როგორც ღმერთის "საქმე" ან ღმერთის "ბრძანება" (სურე 13.2 და 13.11 \*).

ყურანი იესოს აღიქვამს „ადამად“, რომელიც ღმერთმა მიწისაგან შექმნა (სურე 3, 59\*) და ახასიათებს მას როგორც „ღმერთის მიერ გზავნილს“ მისი სულიდან, რომელმაც განაპირობა ქალწული მირიამის (მარიას) მიერ იესოს შობა. (სურე 19, 17-22\* ). ქრისტიანული ვერსიით კი ღვთის ანგელოზი იუწყება წმინდა სულისგან იესოს დაბადების თაობაზე. ყურანშიცაა ნახსენები, რომ იესო წმინდა სულით/სიწმინდის სულით იქნა გაძლიერებული (სურე 5, 110\*).

ყურანის მიხედვით, იესომ წინასწარ განაცხადა თავისი აღდგომის შესახებ (სურე 19, 33\*), რომლის მიხედვითაც შეიძლება აგრეთვე ნაგულისხმები იყოს აღდგომა „პირველ დღეს“, რომელიც ყურანში ხშირად მოხსენიებული, როგორც მორწმუნე ადამიანების იმქვეყნიურ

სასამართლოს წინაშე წარდგომა (იხ. ქვემოთ სურე 4, 159 \* ). ყურანი გადმოცემს, რომ ქრისტე ცოცხლად აღზევდა ზეცაში (სურე 4, 157 -159\*, სურე 3,55\* ).

მუსულმანები და ქრისტიანები არ არიან ერთი აზრის იმაზე, იქნა თუ არა ჯვარცმული იესო მის აღზევებამდე, რომლის შემდგომაც იგი გარდაიცვალა და ღმერთის წყალობით სიკვდილს სძლია, როგორც ამას ქრისტიანები ამბობენ, თუ ჯვარცმის გარეშე ცოცხალი აღზევდა ცაში, როგორც ეს მუსულმანებს სწამთ. ყოველ შემთხვევაში, საერთოა ის რწმენა, რომ იგი მისი ცად აღზევების მომენტში არავითარ შემთხვევაში არ იყო „მკვდარი“, არამედ მაგალითად, ადამიანებს ასწავლიდა.

სურეს 3,55 \* და აგრეთვე 5,48 \* სტრიქონში ნათქვამია, რომ „...მე მას განვწმინდავ“ და „...თქვენ ყველანი უკან დამიბრუნდებით, და მე (უფალი) გადავწყვეტ თქვენს შორის იმას, რაზეც თქვენ (მიწიურ ცხოვრების დროს) ერთი აზრის არ იყავით“. ამიტომ ქრისტიანებსა და მუსულმანებს უნდა შესწევდეთ ძალა ზოგ დარჩენილ საიდუმლოებებზე პასუხს მოთმინებით დაელოდონ და არა იკამათონ ამაზე.

ყურანი ასევე აღწერს მორწმუნეთა აღზევებას განსასჯელის დროს (სურე 36, 77-83; სურე 69,13-37; სურე 75 და 99\* და სხვ.). მაშინ იესო კიდევ დაბრუნდება და დამწერლობის მორწმუნე ხალხის მოწმე იქნება ( სურე 4,159, შეადარეთ სურე 16,89\* ). მათაც, აგრეთვე არამუსულმანებსაც, რომლთაც სწამთ ღმერთისა და პირველი დღის და კარგ საქმეს სჩადიან, ყურანის მიხედვით არ უნდა ეშინოდეთ განსასჯელის (სურე 2,62; სურე 4,123-124; სურე 7,170 \* ). როგორც ყურანში, ასევე ბიბლიაში ერთმნიშვნელოვნად ჩანს ის ფაქტი, რომ იქვეყნიური განსჯა მხოლოდ ღმერთის საქმეა და არა ადამიანების, მნიშვნელობა არა აქვს იმას, იქნებინა ეს ქრისტიანები, მუსულმანები თუ ებრაელები. ( რელიგიებს შორის ამდაგვარი შედარებების მოყვანა არ ემსახურება იმ იდეას, რომ საეჭვო გახდეს ყურანის დამოუკიდებლობა.)

## ისლამის და ქრისტიანობის ეთიკური საფუძვლების შესახებ

დასახელებული „პაბრამისეული რელიგიის“ ეთიკური საფუძვლებიც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. რელიგიურ მცნებებს, თუნდაც ისე, რომ ისინი არ ჩამოვთვალა, ისლამშიც შევხვდებით. მაგალითად, სურეში 17,22-39; სურე 5,38-40; სურე 2,188; სურე 4,135; სურე 2,195; და სურე 17,70\* (ადამიანთა ღირსება). ყურანი სასტიკად და გამონაკლისის გარეშე კრძალავს უდანაშაულოთა კვლას (სურე 5,27-32\* ). მცნება „ჯიჰადი“ აღნიშნავს მხოლოდ „ომს“; ამ მცნების მნიშვნელობა, „წმინდა ომის“ გაგებით, ყურანიდან კი არ მოდის, არამედ მოციქული მოჰამედისა და ისლამური მემარჯვენე სკოლების სწავლებისაგან (\*\*): სულიერ-მორალური მუშაობა საკუთარ თავზე, იმ ვნებების გამო, რომელნიც ღმერთისგან არიან დაშორებულნი, ითვლება „დიდ ჯიჰადად“, რომელსაც უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სხვა გარე შეტაკებებს. (მაგ. შეადარეთ იესოს სიტყვები: „ჯერ საკუთარი თვალიდან ამოიღე კუჩხი...“ - ამნაირად ბევრი გარეკონფლიქტი დაკარგავდა თავის საფუძველს.) „სიტყვის ჯიჰადი“ არის რწმენის მშვიდობიანი გზით წარმოადგენა. „ხელის ჯიჰადი“ არის მორწმუნე ადამიანის ყოველდღიური განმანათლებელი მაგალითი. „ხმლის ჯიჰადს“ აგრეთვე მოიხსენიებენ როგორც „პატარა ჯიჰადს“ და იგი ნებადართულია მხოლოდ და მხოლოდ მორწმუნე ხალხზე

თავდასხმის მოსაგერიებლად. (შეადარე ყურანში სურე 2, 190\* ). სხვა რწმენის მქონე ადამიანებისადმი მოპყრობის „ინტენსივობა“ განსაზღვრულია ყურანშიც (სურე 48, 29 \* , სურე 47, 4 \*).

მრავალფეროვანია ტრადიციული წესები, რომლებიც სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას ეხება და ამასთანავე კრძალავს ქორწინების სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან და ა. შ.

ისლამურ პრაქტიკას მიეკუთვნება: „რწმენა, რომ ღმერთის გარდა (ალაჰის გარდა) სხვა ღმერთი არ არსებობს და რომ მუჰამედი არის ღმერთის მოციქული;

რომ ყოველდღიურად უნდა შესრულდეს დაწესებული აღთქმები (სურე 2,177\* ); რომ დაცული უნდა იქნეს ყოველწლიური დღესასწაულები, რომლებიც რამადანის დროს აღინიშნება (სურე ,185 \*); რომ შესაძლებლობის მიხედვით ცხოვრებაში ერთხელ მანც უნდა მოხდეს ფეხით სვლა წმინდა ადგილის მოსანახულებლად (სურე 2,196\* ); და რომ ზაქათი (სავალდებულო სოციალური გადასახადი) გადახდილი უნდა იქნას (სურე 2,177\* )".

დღევანდელ ისლამში არ არსებობს ერთი მთავარი ადგილი, რომელიც რელიგიურ-ეთიკურ საკითხებს გადაწყვეტდა. მაგრამ ეს რომ ასეც არ იყოს, ალბათ მაინც ფათოდ იქნებოდა აქცესტირებული ის პოზიციები, რომლებსაც იზიარებს მემარჯვენე სწავლების უმრავლესობა.

\*) ... გამოყენებული იქნა აგრეთვე „ყურანი, რუდი პარეტის მიერ ნათარგმნი“, კოლჰამერის-გამომცემლობა (გერმანულ ენაზე), რომელიც მეცნიერულ ნიადაგზეა გადმოცემული და სიტყვების მნიშვნელობების პირდაპირი თარგმნებითა და დამატებების მეშვეობით გაგების უკეთეს საშუალებას იძლევა. გამოყენებულია ისლამურ ქვეყნებში გავრცელებული სტროფების ეგვიპტური თვლის მეთოდი. სხვა თარგმანებში შეიძლება გამოყენებული იქნას სტროფების თვლის ორი სხვა მეთოდიც; ამ შემთხვევაში აღნიშნულ ტექსტს იპოვით იმავე სურეში მოცემული სტროფის ნომრის წინ ან შემდეგ. ის, რომ ყურანი ძნელად სათარგმნელია, დიდი როლს არ თამაშობს იმ მაგალითებზე, რომლებიც აქაა მოყვანილი. ეს არის ნათლად და იოლად გასაგები ტექსტები. მაგალითად მოყვანილი ყურანის ტექსტები შედარებული იქნა „ყურანთან, რომელიც თარგმნილი და კომენტირებული იქნა ადელ თეოდორ ხოურის მიერ, 2007წ.(გერმანულ ენაზე)\*, რომლის თარგმანმაც მუსულმანურ მეცნიერებშიც ჰპოვა აღიარება (მაგ. დოქტორ ინამულა ხანის მიერ, რომელიც ისლამური მსოფლიო კონგრესის გენერალური მდივანი იყო) და რომლის კომენტარიც ისლამური მემარჯვენე სკოლების ტრადიციულ მხედველობასაც ითვალისწინებს.

\*\*\*) აგრეთვე „ქრისტიანული ჯვაროსნული ლაშქრობებიც“ არ იყო ბიბლიურად დაფუძნებული, არამედ ეს იყო ადამიანური მოქმედებები, მაგრამ ამის გამო მაინც, მაგალითად, ევროპაში მოსახლე ქრისტიანები დღესდღეობით ცუდი სახელით სარგებლობენ.

#### მთავარ გვერდზე დაბრუნება

ინტერნეტის გვერდი „ქრისტეს გზა“ არის კვლევითი და საინფორმაციო პროექტი. ეს პროექტი არ არის დამოკიდებული ეკლესიებზე, რელიგიურ განხრებზე (აგრეთვე არ არის მიმართული მათ წინააღმდეგ) ეს ინტერნეტის გვერდი ხელს უწყობს მშვიდობიან ურთიერთობების განვითარებას და რელიგიებს შორის უფრო ღრმა ურთიერთგაგებას. „ქრისტეს გზა“ მიზნად არ ისახავს კომერციულ მოგებას და არც პოლიტიკურ გავლენას. ქრისტეს გზა არ ასრულებს არავითარ მისიას და არ აგროვებს წევრებს.

←